

+-



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისი
№ 733 დადგენილებით

მოდულიზებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 2 აპრილის
№ 01-05-04/95
დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა

PUBLIC ADMINISTRATION

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technology

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი შოთა დოლონაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საჯარო მმართველობის ბაკალავრი
(Bachelor of Public Administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრიატისთვის განსაზღვრული კომპეტენციები და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი სპეციალობის და თავისუფალი კომპონენტებით განსაზღვრული კრედიტების მეშვეობით. ძირითადი სპეციალობა მოიცავს პროფესიული საქმიანობისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს.

ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონ ტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სპეციალობის 230 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების 10 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. თითოეული სემესტრის მოიცავს - 30 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). ერთი სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისაგან.

სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმები. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, აქედ ან: მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური დადებითი - 10 ქულა. სემესტრის განმავლობაში ტარდება ერთი შუასემესტრული გამოცდა. იგი შუალედური შეფასების აუცილებელი კომპონენტია.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების კომპონენტებში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

პირველი სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტის მოცულობით): 1 სავალდებულო სასწავლო კურსს (55 კრედიტის მოცულობით) და ერთ სასწავლო კურსს თავისუფალი კომპონენტებიდან (5 კრედიტის მოცულობით)

მეორე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტის მოცულობით): 11 სავალდებულო სასწავლო კურსს (55 კრედიტის მოცულობით) და ერთ სასწავლო კურსს თავისუფალი კომპონენტებიდან (5 კრედიტის მოცულობით)

მესამე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 13 სავალდებულო სასწავლო კურსს (60 კრედიტის მოცულობით).

მეოთხე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 60 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. კერძოდ; სტუდენტი შეასრულებს სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტის მოცულობით), ასევე შეთავაზებული აქვს ორი კონცენტრაცია (50 კრედიტის მოცულობით), საიდანაც ირჩევს ერთს. კონცენტრაცია 1 - „ორგანიზაციის მართვის საინფორმაციო სისტემები“ მოიცავს 10 სასწავლო კურსს (50 კრედიტის მოცულობით). კონცენტრაცია 2 - „ადგილობრივი თვითმმართველობა“ მოიცავს 11 სასწავლო კურსს (50 კრედიტის მოცულობით) მათ შორის ერთი არის ბილინგვური საგანი, რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიან მათი სურვილისამებრ ქართულ ან გერმანულ ენაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა	ECTS კრედიტი
სავალდებულო სასწავლო კურსები	170
თავისუფალი კომპონენტები	10
კონცენტრაციები	50
საბაკალავრო ნაშრომი	10

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მისცეს სტუდენტებს მართვის თეორიისა და მეთოდოლოგიის ფართო ცოდნა, გააცნოს საჯარო სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ფორმები და მეთოდები, სახელმწიფო სტრუქტურების, ზოგადად მართვის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე ფორმები და სისტემები; მოამზადოს ისინი ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის შესაძლებლობებზე დაფუძნებული მართვის უახლესი ტექნოლოგიებისა და საშუალებების ასათვისებლად და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურებები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

საჯარო მმართველობის სფეროსა და თანამედროვე სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების ცოდნა, მართვის თეორიებისა და პრინციპების აქტუალური საკითხების გაცნობიერება.

საჯარო მმართველობის თეორიული ასპექტების ათვისება, საჯარო მოხელის პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი პრინციპების გააზრება, საჯარო სამსახურის ფუნქციონირების კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. არსებული გამოწვევების შესწავლა და ანალიზი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საჯარო მმართველობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის მზადყოფნა, ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების უნარი.

საჯარო სამსახურში, კომერციულ და არასამთავრობო სექტორში მართვის თანამედროვე მეთოდების პრაქტიკული გამოყენება; საჯარო სამსახურში არსებული საწესდებო დოკუმენტებისა და ინსტრუქციების, აგრეთვე ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე სათანადო გადაწყვეტილებათა მისაღებად პროექტებისა და წინადადებების მომზადება; საწყისი უნარ-ჩვევების გამოყენებით და სათანადო ხელმძღვანელობის პრობებში ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება.

დასკვნის უნარი

მოცემული სფეროსთვის ორდინალური ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მონაცემების შეგროვება. მონაცემთა ბაზებში მონაცემების შეყვანა და გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით მათი დახარისხება.

კონკრეტული ორგანიზაციისა და რეგიონის მასშტაბით არსებული ინფორმაციის შეგროვება და სისტემური ანალიზი; მოპოვებული ემპირიული მასალის დამუშავების შედეგად ორგანიზაციის სტრატეგიული, პერსპექტიული და კალენდარული გეგმების პროექტების შემუშავება. მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის მზადყოფნა.

კომუნიკაციის უნარი

ორგანიზაციების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად მასალების შეგროვება, წერილობითი ფორმით მათი წარდგენა. საჭირო ინფორმაციის კოლეგებისა და საზოგადოებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე,

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება.

მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის მომზადება და ზეპირად გადაცემა; პერსონალთან ურთიერთობის მეთოდებსა და პრინციპების ცოდნა და გამოყენება; ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი; კომუნიკაციის თანამედროვე სიტემების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება.

სწავლის უნარი

კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, შემდგომი სწავლის დაგეგმვა და განხორციელება.

პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა; სისტემატური მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, როგორც გუნდურ ფორმატში, ასევე ინდივიდუალურად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებთან მიმართებაში ცოდნის მუდმივი დახვეწა.

ღირებულებები

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრება, მათ დამკვიდრების პროცესში მონაწილეობა. საკუთარ თავში ისეთი თვისებების გამომუშავება, როგორცაა შრომისმოყვარეობა, დისციპლინირებულობა, მაღალი პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი.

ევროპული, დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრებისკენ სწრაფვა. პროფესიული ღირებულებების და ეთიკის განუხრელად დაცვა. ეთიკისა და მორალის, მიღებული ნორმების პატივისცემა და დაცვა. ადამიანის, როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების პატივისცემა, ზრუნვა მის უფლებებზე და თავისუფლებებზე.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი საბაკალავრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობებია:

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქტივობაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უფიქრებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული

საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად; - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს აქტივობა გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

ანალიზი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი. ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დახსომებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობა გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

ახსნა-განმარტება – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროექტი შემუშავება და პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

საჯარო მმართველობის პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან, როგორც სახელმწიფო, საჯარო, ასევე ბიზნესის სექტორში. მათ ეძლევათ ფართო ასპარეზი პრაქტიკული საქმიანობისთვის:

- საჯარო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობაზე საჯარო დაწესებულებასა და ორგანოში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სხვადასხვა მიმართულებით;
- არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბაკალავრიატის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის პროგრამაზე, შესაბამისი და მომიჯნავე პროფილის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მეცნიერული დონის მისაღწევად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 75

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი								
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		
			სემესტრი								
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
	სავალდებულო სასწავლო კურსები										

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი										
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი				
			სემესტრი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
1.	ფილოსოფიის შესავალი	არ აქვს	5										
2.	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს		5									
3.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	არ აქვს	5										
4.	უცხოური ენა(ინგლისური B1.1, გერმანული B 1.1, ფრანგული B1.1, რუსული B1.1)	არ აქვს	6										
5.	უცხოური ენა(ინგლისური B1.2, გერმანული B 1.2, ფრანგული B1.2, რუსული B1.2)	უცხოური ენა (ინგლისური B 1.1, გერმანული B 1.1, ფრანგული B 1.1, რუსული B 1.1)		6									
6.	უცხოური ენა(ინგლისური B2.1, გერმანული B 2.1, ფრანგული B2.1, რუსული B2.1)	უცხოური ენა (ინგლისური B 1.2, გერმანული B 1.2, ფრანგული B 1.2, რუსული B 1.2)			5								
7.	უცხოური ენა(ინგლისური B2.2, გერმანული B 2.2, ფრანგული B2.2, რუსული B2.2)	უცხოური ენა (ინგლისური B 2.1, გერმანული B 2.1, ფრანგული B 2.1, რუსული B 2.1)				5							
8.	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	არ აქვს	4										
9.	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1		4									
10.	საქართველოსა და საზღვარგარეთის საჯარო მმართველობის ისტორია	არ აქვს			4								
11.	საქმიანი ურთიერთობები	არ აქვს				5							
12.	ეკონომიკის საფუძვლები	არ აქვს	5										
13.	მიკროეკონომიკა	ეკონომიკის საფუძვლები			6								
14.	მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია	არ აქვს	5										
15.	ქვეყანათმცოდნეობა	არ აქვს			5								
16.	საჯარო მმართველობის საფუძვლები	არ აქვს		6									

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი										
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი				
			სემესტრი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
17.	მაკროეკონომიკა	მიკროეკონომიკა				5							
18.	დოკუმენტმცოდნეობა	არ აქვს			5								
19.	საქალაქო მეურნეობის მართვა	არ აქვს			5								
20.	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	არ აქვს			5								
21.	სოციალური მუშაობის საფუძვლები	არ აქვს			5								
22.	სამოხელეო სამართალი	არ აქვს		4									
23.	გეოპოლიტიკა	არ აქვს				5							
24.	საინფორმაციო ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2					5						
25.	პროექტის მენეჯმენტი	არ აქვს					4						
26.	ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია	არ აქვს					5						
27.	ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები	არ აქვს					3						
28.	ადმინისტრაციული მენეჯმენტის საფუძვლები	არ აქვს					4						
29.	შესავალი ლოგისტიკაში	არ აქვს					4						
30.	ადამიანური რესურსების მართვა	არ აქვს							4				
31.	გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები	არ აქვს							5				
32.	საერთაშორისო საჯარო სამართალი	არ აქვს							6				
33.	საჯარო მმართველობის ავტომატიზებული სისტემები	არ აქვს							5				
34.	ადამიანის ძირითადი უფლებები	არ აქვს							5				
35.	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	არ აქვს							5				
36.	საბაკალავრო ნაშრომი	სავალდებულო სასწავლო კურსები - მინიმუმ 120 კრედიტი											10

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	კონცენტრაცია 1 - ორგანიზაციის მართვის საინფორმაციო სისტემები								30	20
37.	ზოგადი მართვის თეორიის საფუძვლები	არ აქვს								5
38.	ბიზნესში ონლაინ ოფისის გამოყენება	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2							4	
39.	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2								5
40.	პროგრამული პაკეტების MATLAB/MAPLE გამოყენება ბიზნესში	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2								4
41.	კომპიუტერული მოდელირება მართვაში	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2							5	
42.	დაპროგრამების საფუძვლები	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2							6	
43.	სოციალური ქსელების გამოყენება ბიზნეს გარემოში	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2							4	
44.	ალგორითმების თეორიის საფუძვლები	არ აქვს							6	
45.	საკონსტიტუციო კონტროლი	არ აქვს							5	
46.	ინტერნეტ სერვისების გამოყენება ბიზნესში	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2								6
	კონცენტრაცია 2- ადგილობრივი თვითმმართველობა								30	20
47.	ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები	არ აქვს								6
48.	თანამედროვე სოციალური პოლიტიკა	არ აქვს								6
49.	მუნიციპალური სამართალი	არ აქვს							4	
50.	დემოკრატია და მოქალაქეობა	არ აქვს							5	
51.	ელექტრონული მთავრობა	არ აქვს								4
52.	თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები	არ აქვს							5	

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
53.	კრიტიკული აზროვნება	არ აქვს							4	
54.	პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ მმართველობაში	არ აქვს								4
55.	კორპორაციული მართვა	არ აქვს							4	
56.	საჯარო მმართველობის ორგანოები	არ აქვს							4	
57.1	Computersystemen mit Finanzrechnung	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2 გერმანული ენა B2							4	
57.2	ფინანსური აღრიცხვის კომპიუტერული სისტემები (ქართულად)	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2								
	თავისუფალი კომპონენტები									
58	კულტურა და თანამედროვეობა	არ აქვს	5							
	პოლიტოლოგია									
	სოციოლოგია									
59	რელიგიების ისტორია	არ აქვს								
	ტურიზმი				5					
	შრომის უსაფრთხოება	არ აქვს								
			30	30	30	30	30	30	30	30

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ფილოსოფიის შესავალი	x	x		x	x	x

2	საქართველოს ისტორია და კულტურა	x	x	x	x		
3	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	x	x	x	x		
4	უცხოური ენა(ინგლისური B1.1, გერმანული B 1.1, ფრანგული B1.1, რუსული B1.1)	x	x		x	x	
5	უცხოური ენა(ინგლისური B1.2, გერმანული B 1.2, ფრანგული B1.2, რუსული B1.2)	x	x		x	x	
6	უცხოური ენა(ინგლისური B2.1, გერმანული B 2.1, ფრანგული B2.1, რუსული B2.1)	x	x		x	x	
7	უცხოური ენა(ინგლისური B2.2, გერმანული B 2.2, ფრანგული B2.2, რუსული B2.2)	x	x		x	x	
8	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	x	x	x		x	x
9	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	x	x	x		x	x
10	საქართველოსა და საზღვარგარეთის საჯარო მმართველობის ისტორია	x			x		x
11	საქმიანი ურთიერთობები	x	x		x		x
12	ეკონომიკის საფუძვლები	x	x	x		x	
13	მიკროეკონომიკა	x	x	x	x	x	
14	მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია	x	x	x	x	x	x
15	ქვეყანათმცოდნეობა	x	x	x	x	x	x
16	საჯარო მმართველობის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
17	მაკროეკონომიკა	x	x	x	x	x	x
18	დოკუმენტმცოდნეობა	x	x	x	x		x
19	საქალაქო მეურნეობის მართვა	x	x	x	x		
20	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	x	x	x	x	x	x
21	სოციალური მუშაობის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
22	სამოხელეო სამართალი	x	x	x	x	x	x
23	გეოპოლიტიკა	x	x		x		x
24	საინფორმაციო ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში	x	x	x	x		x
25	პროექტის მენეჯმენტი	x	x		x	x	x
26	ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია	x	x	x	x	x	x
27	ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები	x	x	x			x
28	ადმინისტრაციული მენეჯმენტის საფუძვლები	x	x	x	x		
29	შესავალი ლოგისტიკაში	x	x	x	x		x
30	ადამიანური რესურსების მართვა	x	x	x	x	x	x
31	გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები	x	x	x	x		
32	საერთაშორისო საჯარო სამართალი	x	x	x	x	x	x
33	საჯარო მმართველობის ავტომატიზებული სისტემები	x	x	x	x		x
34	ადამიანის ძირითადი უფლებები	x	x	x	x	x	x
35	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
36	საბაკალავრო ნაშრომი	x	x	x	x	x	x
37	ზოგადი მართვის თეორიის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
38	ბიზნესში ონლაინ ოფისის გამოყენება	x	x	x			
39	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	x	x	x			
40	პროგრამული პაკეტების MATLAB/MAPLE გამოყენება ბიზნესში	x	x	x		x	x
41	კომპიუტერული მოდელირება მართვაში	x	x	x	x		x
42	დაპროგრამების საფუძვლები	x	x	x		x	

43	სოციალური ქსელების გამოყენება ბიზნეს გარემოში	x	x	x	x	x	x
44	ალგორითმების თეორიის საფუძვლები	x	x	x			
45	საკონსტიტუციო კონტროლი	x	x	x	x	x	x
46	ინტერნეტ სერვისების გამოყენება ბიზნესში	x	x	x			
47	ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები	x	x	x	x		x
48	თანამედროვე სოციალური პოლიტიკა	x	x				x
49	მუნიციპალური სამართალი	x	x	x	x	x	x
50	დემოკრატია და მოქალაქეობა	x	x	x		x	x
51	ელექტრონული მთავრობა	x	x	x	x	x	x
52	თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები	x	x	x	x		
53	კრიტიკული აზროვნება	x	x	x	x		
54	პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ მმართველობაში	x	x	x	x		x
55	კორპორაციული მართვა	x	x	x			
56	საჯარო მმართველობის ორგანოები	x	x		x		x
57.1	ფინანსური აღრიცხვის კომპიუტერული სისტემები (გერმანულად)	x	x	x			x
57.2	ფინანსური აღრიცხვის კომპიუტერული სისტემები (ქართულად)	x	x	x			x
58.1	კულტურა და თანამედროვეობა	x			x		x
58.2	პოლიტოლოგია	x	x	x	x	x	x
58.3	სოციოლოგია	x	x	x	x	x	x
59.1	რელიგიების ისტორია	x	x	x	x	x	x
59.2	ტურიზმი	x	x	x	x	x	x
59.3	შრომის უსაფრთხოება	x	x	x			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მომსახურება)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო	სამომზათ/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	HEL30512G1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5/125	15	30						2	2	76
2	HEL20312G1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/125	15	30						1	1	78
3	LEH11912G1-LS	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5/125	15	30						2	2	76
4	LEH19212G1-P LEH18812G1-P LEH18612G1-P LEH19012G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B1.1, გერმანული B 1.1, ფრანგული B1.1, რუსული B1.1)	6/150			60					1	1	88
5	LEH19312G1-P LEH18912G1-P LEH18712G1-P LEH19112G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B1.2, გერმანული B 1.2, ფრანგული B1.2, რუსული B1.2)	6/150			60					1	1	88
6	LEH10412G1-P LEH11212G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B2.1, გერმანული B 2.1,	5/125			45					1	1	78

33	BUA80113G1-LSB	საჯარო მმართველობის ავტომატიზებული სისტემები	5/125	15	15		15			2	1	77
34	BUA82313G1-LS	ადამიანის ძირითადი უფლებები	5/125	30	15					2	2	76
35	BUA82413G1-LS	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	5/125	15	15	15				2	2	76
36	BUA87813G1-K	საბაკალავრო ნაშრომი	10/250						60		0.5	189,5
37	BUA82713G1-LP	ზოგადი მართვის თეორიის საფუძვლები	5/125	15		30				2	2	76
38	BUA82813G1-LB	ბიზნესში ონლაინ ოფისის გამოყენება	4/100	15			15			2	1	67
39	BUA83013G1-LS	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	5/125	15	30					2	2	76
40	ICT37613G1-LB	პროგრამული პაკეტების MATLAB/MAPLE გამოყენება ბიზნესში	4/100	15			15			1	2	67
41	BUA81613G1-LP	კომპიუტერული მოდელირება მართვაში	5/125	15		30				2	2	76
42	ICT37713G1-LB	დაპროგრამების საფუძვლები	6/150	30			30			2	2	86
43	ICT37813G1-LP	სოციალური ქსელების გამოყენება ბიზნეს გარემოში	4/100	15		15				2	1	67
44	MAS4 0113-LP	ალგორითმების თეორიის საფუძვლები	6/150	30		30				2	1	87
45	LAW10613G1-LS	საკონსტიტუციო კონტროლი	5/125	15	30					2	2	76
46	ICT52213G1-LP	ინტერნეტ სერვისების გამოყენება ბიზნესში	6/150	30		30				2	1	87
47	BUA83113G1-LS	ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები	6/150	30	30					2	2	86
48	BUA83213G1-LP	თანამედროვე სოციალური პოლიტიკა	6/150	30		30				2	1	87
49	BUA83313G1-LS	მუნიციპალური სამართალი	4/100	15	15					2	2	66
50	BUA83413G1-LS	დემოკრატია და მოქალაქეობა	5/125	15	30					2	1	77
51	BUA80813G1-LP	ელექტრონული მთავრობა	4/100	15		15				2	2	66
52	BUA80913G1-LSP	თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები	5/125	15	15	15				2	2	76
53	JOI13312G1-LS	კრიტიკული აზროვნება	4/100	15	15					2	2	66
54	BUA81013G1-LS	პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ მმართველობაში	4/100	15	15					2	2	66
55	BUA83613G1-LS	კორპორაციული მართვა	4/100	15	15					2	2	66
56	BUA83713G1-LS	საჯარო მმართველობის ორგანოები	4/100	15	15					1	1	68
57.1	BUA83913D1-LS	ფინანსური აღრიცხვის კომპიუტერული სისტემები (გერმანულად)	4/100	15	15					2	1	67
57.2	BUA83913D1-LS	ფინანსური აღრიცხვის	4/100	15	15					2	1	67

		კომპიუტერული სისტემები (ქართულად)										
58.1	SOS40513G1-LS	კულტურა და თანამედროვეობა	5/125	15	30					2	2	76
58.2	SOS20213G1-LS	პოლიტოლოგია	5/125	15	30					2	2	76
58.3	SOS40212G1-LS	სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78
59.1	HEL10112G1-LS	რელიგიების ისტორია	5/125	15	30					1	1	78
59.2	PES10213G1-LS	ტურიზმი	5/125	15	30					2	2	76
59.3	HHS20103G1-LSB	შრომის უსაფრთხოება	5/125	15	15		15			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

შოთა დოლონაძე

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე 10.05.2011წ. ოქმი
№22

ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდირიგებულია

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
28 მარტი 2018 წელი ოქმი №8

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე